აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №17

31 მარტი 2005 წ ქ. ბათუმი

„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი პირის სამსახურებლივი ინსტრუქციის"
დამტკიცების შესახებ

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მოსამსახურის ფუნქციის შესრულება დაევალოს იურიდიული სამსახურის უფროსს **გ. კახიძეს**.

2. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის თანდართული სამსახურებლივი ინსტრუქცია.

3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებლივი ინსტრუქციით.

4. „ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის №95 ბრძანებულების, მე-9 მუხლის „ე" პუნქტის შესაბამისად თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურის ტელეფონი.
5. განკარგულება ამოქმედდეს 2005 წლის 1 აპრილიდან.

კომისიის თავმჯდომარე: ი. ფაღავა